თქვენს მიერ მოწერილ შუალედურ პასუხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ 01.10.13.030.058 მიწის ნაკვეთის ჩართვა წარმოდგენილ ნაკვეთებთან ერთად, მიუხედავად ჩვენი და მიწის მფლობელების სურვილისა ვერ ხერხდება. ნაკვეთს ადევს ყადაღა და მასზე მიმდინარეობს სასამართლო დავა. ჩვენ თანახმა ვართ აღნიშნულის გათვალისწინებითაც ჩავრთოთ მიწის ნაკვეთი პროექტირებაში, თუმცა სამართლებრივი და ტექნიკური მიზეზების გამო ეს ვერ ხერხდება. თუ სამსახურს გააჩნია რაიმე სახის პოზიცია და გამოსავალი აღნიშნული სიტუაციიდან, მზად ვართ გავითვალისწინოთ. ამასთან ჩვენ მზად ვართ პროექტირებისას გავითვალისწინოთ 01.10.13.030.058 ნაკვეთის ინტერესები და შენობა დავაპროექტოთ ისე, რომ მას მომავალში (დავის დასრულების შემდეგ) არ შეექმნას განვითარების და თუნდაც ჩვენს ნაკეთთან გაერთიანების ტექნიკური პრობლემა.

წინააღმდეგ შემთხვევაში გთხოვთ გაგვცეთ კანონმდებლობით გათვალისწინებული (კონკრეტული ნორმაზე მითითებით) და დასაბუთებული უარი, თუ რა ნორმის საფუძველზე ვართ ვალდებული გავაერთიანოთ სხენებული მიწის ნაკვეთი ჩვენს მიწის ნაკვეთებთან.

ხარვეზის მეორე ნაწილს (გენ.გეგმა, ესკიზი და. ა.შ.) აღმოვფხრით მას მერე, როცა გადაწყდება პირველი საკითხი და თქვენს მიერ განისაზღვრება საპროექტო ტერიტორია.